

# სასოფლო-გაზეთი



გაზეთის ფასი:

მაგზავნით	თფილისში	მაგზავნელათ:
და გარეშე	ადგილებში:	მან.
მართის წლისა	— 7 მან.	— 6
ნახევრის წლისა	— 4 —	— 3 — 50 კ.
სამისთვისა	— 2 რ. 50 კ.	— 2 —

## პირველი წელიწადი

ბამრდის სამშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისის „სასოფლო-გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპი. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, თ. ბებუთაიის სახლში, პოლიციის გვერდით.  
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вн Тифлисе, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕ-ТЫ“, при типографіи Меликова и К-о.

შოკელ გვარი განცხადებანი სასოფლო-სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოდ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თფილისში, მელიქიშვილის და კაპი. სტამბაში.

36. № სამშაბათი.

I.

5 ნოემბერს 1868 წ.

### ბანცხადება

შმორჩილესად ესთხოვთ იმ სოფლის სასამართლოებს, რომელთაც ფული არ შემოაუტანიათ ამ წლის „სასოფლო-გაზეთის“ ფასი, მალე წარადგინონ უფხდის ნაჰ.ლნიკთან, რომ იმან, სადაც რიგია, იქ გამოგზავნოს. წლის ფასი ხომ ყველამ იცის, ექვსი მანეთია.

### შინაარსი:

სამართლო ისტორია. — შოკელ დარბიება მწერის მგროვეებისა და გაგზავნისათვის. — ლექსი: ზარმაცია. — საუჯასო ცნობები. — მომზარებლების კრება თფილისში. — განცხადება.

### სალმტომ ისტორია.

38. ღვეითის ღვენა.

როდესაც ესრავლნი თფილისტიმელებთან ბიძოლის შემდეგ გამარჯვებულნი დაბრუნდნენ, მათი ცოლები მიეგებნენ და იხახდნენ, საუღმა ათასი დამარცხა, ხოლო ღვეითმა „ურცხები“. მეფეს ეწყინა ეს. აქვე შური ჩაეწერა იმას გულში. „ახლა რაღა აკლია ღვეითს? მხოლოდ სამეფო ტახტი!“ — ამბობდა ის. მის შური უფრო და უფრო ძლიერდებოდა, რაკი ჰხედავდა, რომ ხალხს შეუყვარდა ღვეითი. ამ გარემოებამ შთაუწერა მეფეს გულში ღვეითის მოკვლა. მართლად, როდესაც ჩვეულებისამებრ ღვეითი მეფის პირდაპირ იჯდა და ქნარს უკრავდა, მაშინ საუღმა

ისარი ესროლა მას. აგრეთვე რამდენჯერმე სახლში გაუგზავნა მას მკვლელები, მაგრამ იმის ცოლის, მელქოდის, თვალთმაქცობა იფარავდა ღვეითს სიკვდილისაგან. ამას შემდეგ ღვეითი რაჲს გაიქცა სამუილთან. მაგრამ რაკი საუღმა აქაც ძებნა დაუწყოა იმას, მაშინ ის ისევ ბაბაონის არემარეში დაბრუნდა; უნდოდა ერთიც კიდევ ენახა იონათანი. იონათანი ბევრსა ცდილობდა შეერიგებინა თავის მამისთვის უმანკო ღვეითი, მაგრამ სულ აშაო იყო; საუღმა პირში უთხრა თავის შვილს „უნდა მოკვდესო!“ მაშინ თითონ იონათანი ურჩია ღვეითს შეთის მეფე ანქუთან წასვლა. ამ მეფემ ჯერ პირველად თავაზიანად მიიღო ღვეითი, მაგრამ შემდეგ მახლობელთი შეუტეაღეს მღვფს გული და რაღაც ექვები აფიკრებინეს იმასზედ, ასე რომ ღვეითი აქედგანაც უნდა გაქცეულიყო. აქედგან იუღას მთებში წაივდა და იქ მღღაპის მღვიმეებში დასახლდა. აქ ცოტაცოტათი მოგროვდა იმასთან ხალხი; ესენი სულ იმის მომხრენი იყვნენ და ამისგამო საუღლისა შიში ჰქონდათ, რომ იმას ამითვისაც არ გადაეხადნა მაგიერი. საუღი ისე განძენებულ იყო ღვეითზე, რომ ღვეითს მღვფლმთავარიც არ დაინდო: იმან უბრძანა მღვფლმთავრისა და ოთხმოცი მღვფლის მოკვლა იმ მიზეზით, რომ მღვფლმთავარმა არ იცოდა, რომ ღვეითი გაექცა საუღს და მისცა მას საქმელად შესაწირავი პურები და მღღაპის ხრმალი. მაგრამ საუღმა ეს მაგიერის გადახდა არ აკმაზა: იმან ის ქალაქიც დანაგრია, სადაც ის მღვფლები

სცხოვრებდნენ და იქაური მცხოვრებნიც სულ ამოსწყვიტა. მღვფლმთავრის შვილი აბიათარი და გდარჩა ძლივს; ესეც ღვეითთან მოვიდა. აი როგორ დაეცა მეფე საუღი მას შემდეგ, რაკი სული ღვეითსა განვიდა მისგან? ღვეითთან ექვსსამდის კაცი მოგროვდა.

მაგრამ ღვეითს თავის კეთილი გული საუღლის წინააღმდეგ არავითარი ბოროტება არ ედო და არაოდეს არ იფიწყებდა, რომ ის იმის მეფე სიმამრი და თავის მეგობარი იონათანის მამა იყო. ამისი დამტკიცებაც ეს არის, საუღმა წაიყენა სამი ათასი არჩეული კაცი და ღვეითის საძებნელად იუღას მთებში წაივდა. აქროს ისე მოხდა, რომ საუღი თავის რაზმს დაჰშორდა და მარტოკა შევიდა სწორედ იმ მღვიმეში, სადაც ღვეითი და იმისი მომხრენი იმალებოდნენ. შევლანი ეუბნებოდნენ ღვეითს, „აი, შუალი ხელში გაძღვეს მტერსაო“ მაგრამ ღვეითი მხოლოდ მიეპარა საუღს უკანდგან და კაბის კალთის წვერი მოსჭრა და როცა მეფე მღვიმედგან გავიდა, მიძახა მას: „ხელმწიფე ბატონო! რათ უჯერებ ბოროტ ხალხს, ვითომც ღვეითი შენს სიკვდილს ეძებს? ახლა შენ თითონ ჰხედავ, რომ შუალმა მომცა შენი თავი ამ მღვიმეში, მაგრამ მე არ მინდოდა შენი მოკვლა. აი, შენი კაბის ნაჭერი, მე მხოლოდ ეს მოგჭერ და შენი დაგინდევ. აწ იცოდ, რომ მე გულში ბოროტი არა მაქვს შენზე, გარნა შენ კი ჩემ სიკვდილს ეძებს? ღვეითი იყოს ჩენი მსაჯული! მაშინ საუღმა დაიწყო ტირილი და სთქვა: „შენ ჩემზე მართალი ჰყოფილხარ!“



და შერცხენილი დაბრუნდა შინ. მაგრამ რამდენსამე ხანს შემდეგ ისევ აღდგნო საულის ღვთისადმი შური და დაუწყო იმას ძებნა. ახლა ღვთიი ერთის თავის მომხრე, აბესის ხლებით შეიპარა ღამე მეფის ბანაკში, აიღო საულის შუბი და ბადია და წავიდა; მერე ავიდა მთაზედ, ბანაკის პირდაპირ და იქიდან დაუყვირა მალაღის ხმითა: „აბნინი აბნინი!“ — საულის ჯარის წინამძღვარი წამოვარდა ნაძიხარევი და ჰკითხა: „ეინ მეძახის?“ ღვთისმა უთხრა: „შენ არა ხარ ვაჟაკი? შენ არა ხარ წარჩინებული ესრაელი? რატომ არ იფარე შენს მეფეს? აი, ერთი კაცი მოვიდა შენი მეფის მოსაკლავად. აბა, ნახე სად არის შენი მეფის შუბი და თასი, — თავით რომ ეწყე?“ „მაშინ საულმა იცნო ღვთისის ხმა და შეჰყვირა: „შენ არა ხარ, შეილო, ღვთი?“ — „ღახ, მე გახლავარ, მონა შენი, მეუფეო!“ მიუგო ღვთისმა. — რასათვის მღვინი? რა გიყუ, რა უსამართლოება ჰპოვე ჩემში? **მეუფეთი** გხდის ჩემ წინააღმდეგად, მაშ კეთილი იყოს მსხვერპლი შენი! მაგრამ თუ ხალხი გაქმნებს მაშ წყევლ იყენენ, შეთვისა წინაშე, მითომ რომ ესრავლთ მეფეს მადგენებენ მე მთებში, როგორც ნადირს!“ საულმა ცხლაც დაინანა თავის ბოროტება და სთქვა: „შეგოადე! ღაბრუნდი ჩემთან, შეილო, ღვთი! მე ბოროტის აღარ მოგაყენებ!“ მაგრამ ღვთისი აღარ ენდო საულს, მისცა ერთ მეფის ყრმას შუბი და თასი და განშორდა. ეს იყო ღვთისაგან საულის უკანასკნელი ნახვა. საულის აღსასრული მოახლოვებულიყო.

**39 საულის სიკვდილი და ღვთის გამეფება.**

ღვთიი თავის მომხრეებით წავიდა ბეთის მეფე ბექუსთან. ბეთის მეფემ აჩუქა იმას ერთი ქალაქი, სექელაგი. ღვთიი თავის ხალხით აქ დასახლდა. ამ დროს ბეთის მთავარი ესრავლებზედ გალაშქრებას აპირობდნენ და ბექუსმა უთხრა ღვთის: „შენც შენი ხალხით უნდა მოგვეხმარო ჩვენ“. ღვთიი დამორჩილა; მაგრამ ამაზედ მეფე-მთავარი ეჭვი ჩაიდეს, რომ ვაი, თუ ღვთისმა გვილატოსო, და ამიტომ ღვთიი უკანე დაბრუნდა. შინ რომ მივიდა თავს ზარი დაეცა, რადგან იმის ქალაქი დაეგრავით და სულ ნაცრად ექცაით. იმის წასვლის დროს ამალიკელნი დასცემოდნენ სექელაგს და სულ აფოხრებინათ, ხო-

ლო დედა-ცები, ყმაწვილები და საქონელი სულ ტყვეთ წაესხათ. **მეუფა** სამი დღის საბრულოთ ძალიან დაღალული იყო ღვთისის რაზმი, მაგრამ მაინც ამალიკელთ გაუდგნენ უკან. მთელი ღამე მისდის ერთ უდაბურ მინდორ-მინდორ და ბოლოს გათენებისას მიეწივნენ და დაცნენ ზედ. ამ უეცარმა დაცემამ ისე შეშალა ამალიკელნი, რომ ღვთისმა არა თუ მოტაცებულის დაბრუნება შეიძლო, არამედ ბევრი დავლაც სხვა წაართვა. **ამავე დროს** იუდეველთ ზემო მხარეში მელბუს მთაზედ სხვა ამბავი ხდებოდა. იქ ფელისტიმელთ ესრაელნი დაამარცხეს; იონათანი და ორიც კიდევ სხვა საულის შვილი დახოცეს, თითონ საულიც სასო-წარკვეთილებში დაეგო თავის მახეობზედ და მოკვდა. **დაბრუნდა** თუ არა ღვთიი ამალიკელთ დამარცხების შემდეგ, თავის ანგრეულ-დანგრეულ ქალაქში, საულის სიკვდილი უამბეს იმას. **მართმა** ამალიკელმა, რომელიც ბრძოლის ველზედ მკვდრებას სცარციდა, უეცრივ მეფის მოგერს შეეგნა. მოჰხანდა მას გვირგვინი, აჰყარა სამეფო იარაღი და ღვთისს წაულო. **იმან** დაიკვება ღვთისის წინ, რომ ჩემი ხელით მოგაკალიო, ასე გვონა უბედურს, რომ ღვთისაგან ამ საქმისთინ დიდ ჯილდოს მიიღებდა. ღვთისმა მოისმინა რა ეს ამბავი, შემოიხსია ზედ ტანი-სამოსი და შეხდა: „როგორ! ნუ თუ არ შეძრწუნდი და შეიგ ხელი ღვთისაგან ცხებულსა? შენ უნდა ჰქონო სისლი მისი, ეინადგან თითონ შენი პირი გამხილებს შენ! წაიყვანეთ და მოკალით ეს ავაზაკი!“ ამალიკელი მაშინვე მოკლეს.

ამას შემდეგ ღვთიი დაბრუნდა თავის რაზმით თავის ქვეყანაში და მივიდა ქებრანს. აქ იუდას ჩამომაგილობამ სცნა იგი, თავის მეფედ, ხოლო აბნინიმა ესრავლთ ტახტზედ საულის შვილი იებოსთუ დასვა. ამ გვირად ერთსა და იმავე დროს ესრავლთ ორი მეფე ერთად გაუჩნდათ; მაგრამ ეს ამბავი ცოტა ხანს იყო. შვიდ წელიწადს შემდეგ იებოსთუ საკუთარმა კაცებმა მოკლეს და მაშინ ღვთიი მთელი ისრაელის ხალხის მეფედ შეიქმნა.

**მოკლე დარღვევა მწერის შეგროვებისა და გაგზავნისათვის.**

შეიძლება ესთქეთ დარწმუნებითა, რომ ერთს მოსახლეს ვერნახავ, რომელსაც თავის

სახლოსნობაში არ შეიძლება შეიპაროს სხვა და სხვა მწერთაგან მინდორში, ყანაში, ტყეში, ბაღში და სხ. აგრეთვე დარწმუნებით ვიტყვი, რომ ძალიან ცოტა მოსახლეებს აზოვით, რომელთაცა შეეძლოთ, სხვის დაუკითხავად, მსწრაფლივ შეუდგნენ მათგებლთა მწერთა ამოწყვეტასა, ანუ იცოდნენ საშუალება, რომ ის უმეტესად არ გამრავლდეს და გაფრთხილდეს. მოსახლენი, საჭიროებაში უნდა მიმართვიდნენ ხოლმე მენტომოლოგიაში\* დახელოვნებულსა, როგორც მიჰმართუნ ხოლმე იურისტსა და ჰქიმსა, როდისაც საჭირონი არიან. პრაქტიკული მენტომოლოგი მოსახლეს რასაკვირველია მისცემს კეთილს დარგებასა მწერის გაწყვეტისათვის; მაგრამ მწერზედ მტკიცე აზრის შესადგენათ, რომ მერე მისცეს სწორე პასუხი, — ამისათვის მენტომოლოგმა უნდა ნახოს თითონ მწერი, რომელიც აწებებს, და იპისაგან გაფუჭებული მცენარეცა; გარდა ამისა ამან უნდა იცოდეს გარემოებანიცა, რომ ღვთიი მოჰყენენ მწერის გაჩენასა. კითხვაზე: რა საშუალება აქვს ჰიასა, რომელიც გაჩენილა მინდორზე, ანუ ჭრელს ჰიასა, შენსა, ყვეთილსა, რომელიცა სჭამენ ამასა და ამასა? — სრულებით შეუძლებელია სწორე პასუხის მიცემა, ამიტომ რომ მინდორში ბევრი და ბევრ რიგი არის ესრეთიცა, შავიცა, ყვეთელიცა ერთისა და იმავე მცენარითა საზღოაზრენ. ზოგიერთი მოსახლე ჰგზავნის მათგებელი მწერის ნიმუშს რომელსამე სამმართველო ადგილებში, ანუ ეკონომიურ კრებებში; მაგრამ გამოუცდელია გამო ისე ცუდად არიან შეკრებილნი და გამოგზავნილნი, რომ უკეთესი ენტიმოლოგი ვერ შეატყობს რომელს გვარს ეკუთვნის მწერი, და რასაკვირველია სწორე პასუხსა და საშუალებასაც ვერას ურჩევს, რომ ამოსწყვიტონ მწერი. ბანსაკუთრებით ცუდათ არიან მომზადებულნი ახალკვერსნიდან გამოსულნი და ფრთებშეუხსნელნი მატლები. მე თითონ მომსვლია იმ გვარი ნიმუშები, რომ შეუძლებელი ყოფილა მათი გარჩევა, ამიტომ რომ გზაში დაუშენებულნი, შემგურგვლებულნი და დაკლანქული სხეულები რომელთაც არცე ჰგვანდნენ

\* მენტომოლოგი ეწოდება იმ კაცს, რომელი განვითარებულია ყოველგვარ მწერის და ჰიების ცნობების შეგნებაში.



პეპლის მატლს. რადგანაც მწადს გამოვად-  
გე მოსახლეთა, ჩემისა შეძლებისა მეგრ, ამი-  
ტომ შეუდევ მოკლე დარგების აღწერასა, —  
რომ როგორ ვარგა შეგროვება და გაზუნა  
მწერისა. ამ დარგების სიტყვასათვის, რომ  
ყველასათვის ადვილი შესაგნებელი იყოს, გა-  
ცეაფი ოთხს ნაწილად. პირველს ნაწილში ავ-  
წერე ის ნიშნები, რომლითაც შეიტყობა ყო-  
ფნა სადმე მწერისა. მეორეში აღიწერება სა-  
შუალება, როგორ მოაგროვონ და მოაშუ-  
აღონ გასაზუნად. მესამეში, როგორ უნდა  
ჩააწიონ და გაზუნონ ფოთით, და მეოთხე-  
თხეში ის ცნობანი, რამელნიც უნდა გამო-  
გზანონ მწერისა.

დასასრულში საჭიროდ ვრაცხ ესთქვა, რომ  
მე დიდს სიამოვნებით შეუდგები მწერის გა-  
რჩევის შრომასა, რომლებსაც გამოგიგზანე-  
იან, და ვაჩვენებ იმ საშუალებასა მწერის გა-  
საწყვეტლად, რომელნიც არიან მიღებულნი  
მეცნიერებისაგან და გამოცდილებისაგან ნამ-  
დიდის საშუალებათა, თუ მწერები და ცნო-  
ბანი იმათზე იქნებიან გამოგზანნილი რიგზედ  
და სისრულითა. „მწერის მართვის ბაზეთის“  
(Земледельческой Газета), რედაქციამ მიიღო  
შუამავლობა უფალთ მოსახლეთა და ჩემს  
შუა და ამიტომ ყოველი ამანათი მწერისა  
და იმის წანახედისა ნიშნუშები უნდა გამოი-  
გზანონ ამ რედაქციის სახელობაზედ: Реда-  
кция Земледельческой Газеты в С. Петер-  
бурге. სხვა რომ არაის ეგონოს, ამიტომ  
ამანათზე უნდა დაიწეროს დიდრონისა და გა-  
რკვეულის ასობით: Съ вредными насекомы-  
ми.

მრ. ბალლიონი.

I. ნიშნები, რომლითაც შეიტყობა მწერის ყოფნა სადმე.

როდესაც მწერი (ქია) ცოტაარის და იმათი  
წანახედიც ძალიან დიდი არ არის, მაშინ მო-  
სახლენი ვერცკი შეამცნევენ იმათ ყოფნასა.  
მოხდება ისიცა, რომ მწერი ძალიან მრავლ-  
დება და იმათი წანახედიც ძალიან დიდი არის,  
მაგრამ მოსახლენი სრულგბით ვერ ატყობენ,  
რომ ეს მწერის გამრავლებისაგან მოხდა და  
არა სხვა რამ მიზეზითა. ამისი მიზეზი ის  
არის, რომ მოსახლენი არ არიან მიჩეუ-  
ლნი შეიტყონ გარემოება, რომელიც  
მოსდევს მწერის გამრავლებასა.

ამ გარემოებაებს ყველაზე ფხიზელი გუ-  
ლისხმა უნდა მიაღვეროს სოკელის მოსახლეე-

მა. მსენი არიან ნამდილი ნიშნები მწერის  
ყოფნისა და დროთი რომ შეატყონ, მაშინ  
შეიძლება უშველონ რამე სრულგბით. ამო-  
წყვეტისათვის, ანუ შეამსუბუქოს მაინც იმი-  
საგან ენება. ნიშნები, რომლითაც შეიტყობა  
მწერის ყოფნა რომელსამე ალაგს, არიან შე-  
მდეგნი:

1) როდესაც გაზაფხულზე ჯეჯილში შიგ კრე-  
ლად მოცდენილი ადგილები იქმნება, რომე-  
ლიც არ არის ყინვების მიზეზითა, — მაშინ  
იყავით დარწმუნებულნი, რომ იქა მუშაობს  
მწერი; მოსძებნეთ მოცდენილის გარემოში,  
ბელტოებისქვეშა და იპოვით მატლებსა (ქი-  
ას).

2) როდესაც გაზაფხულის ნათესში კარგად  
და რიგზე ამოსვლის შემდეგ და კარგი მოსა-  
ვალის ამინდის დროს ნახეთ ამავე მოცდე-  
ნილს ადგილებსა, მაშინ აღარ არის ეჭვი,  
რომ აქ გაჩენილა მწერი.

3) თუ პური იმტრევა ღეროზე, ნამეტნა-  
ვად პირველს, ანუ მეორე კოჟორთან და  
წყება მიწაზე გადაყრილ გაღმარეული, — მა-  
შინაც ეს იმისი ნიშანი არის, რომ პურს  
დახვევია მწერი. მონახეთ ღეროზედ, სადაც  
გადატეხილია და ნახეთ თეთრს, ფეტვის მა-  
რცეალზე ცოტას უდიდესს მატლსა.

4) როდესაც კარგი მოსავლის ამინდი არის,  
მაგრამ პური ნახანაგში წყება, მაშინ იყავით დარ-  
წმუნებულნი რომ მიწაში გაჩენილა მწერი, რა-  
მელიც უჭამს ძირსა.

5) როდესაც მინდვრებზედ ნახეთ ტიტე-  
ლა ადგილებსა, მაშინ ეს არის ნიშანი, რომ  
აქ გაჩენილა მწერი, რომელიც სჭამს ღეროსა  
და ფოთოლს ბალახისასა.

6) როდესაც მინდვრებზე კარგა დიდრონ  
ალაგებზე ნახეთ, რომ ბალახი გაყვითლებუ-  
ლა და დამქნარა, მაშინ ეს არის ნიშანი  
იმისი, რომ მიწაში ზის მწერი, რომელიც სა-  
ზღოობს ბალახის ძირკვითა.

7) როდესაც ნახანაგს ანუ გაზაფხულის ყა-  
ნას ეხვევა ბევრი ფრინველი, რომელიც სო-  
ხრის მიწასა ნისკარტითა, მაშინ გაიგეთ რომ  
აქ გაჩენილა მწერი.

8) როდესაც ღორები გამოურეკათ ყამი-  
რზე სამოვრად და ისინი სთხრიან მიწას ღრ-  
მად, როდესაც გარემოში კარგი სამოვარი  
არის, მაშინ ეს აგრეთვე არის ნიშანი, რომ  
მიწაში ბევრი მწერის მატლები არის, რომე-  
ლიც ძალიან უყვარს ღორსა.

9) თუ მინდვრებში გაჩნდა ბევრი მსხვე-  
ლები წესზე მომატებული, იცოდეთ რომ იქ  
გაჩენილა მწერი, აგრეთვე წესზე მომატებული.  
როდესაც მწერი დაცოტადება, მაშინ თხუ-  
ნეელების რიცხვიც დაიკლებს.

10) თუ ბაღაში, კომპოსტის ახლოს, და-  
იწყეს ფრენა ბევრმა თეთრმა პეპლებმა, მა-  
შინ მიიღეთ რამე საშუალება, თორემ თქვენი  
კომპოსტო ერთიანად შეიქმება.

11) თუ ბაღაში საღამომობით და ღამე და-  
იწყებენ ფრენას წესზე მომატებულად ღამე-  
რები და სხვა ღამის მფრინველნი, ეს არის  
ნიშანი, რომ ღამის მწერებიც, რომელნიც  
ანებენ მცენარეებსა, გამრავლებულან წესის  
უმეტესად.

12) როდესაც ბაღაში, ანუ ბაღში მცენა-  
რენი, რომელთაც კარგა უფლით და ამინდიც  
კარგი ადგით, მაგრამ მაინც ყვითლებიან,  
ქუნებიან, ხდებიან, ანუ არ იბმენ მოლო-  
დინისამებრ ყვეილსა და ნაყოფსა, — მაშინ  
ემებეთ და უტყველად იპოვით უჭუმარს მტე-  
რსა მწერის საზოგადოებისას.

13) როდესაც ვაშლზე ანუ სხვა ხილის  
ხეზე რომელიმე ყვეილის ღილები გაუშლე-  
ლად ყვითლებდა, ანუ ვაშლის დროს ჩამო-  
ვარდება და არ გაიკეთებენ ნაყოფსა, მაშინ  
ამისი მიზეზი არის რომელიმე მწერი.

14) როდესაც ხილის ხეზე რომელიმე ფო-  
თლის ღილი არ იღება, ანუ გაღებისავე დროს  
ხდება, მაშინ ეს არის ნიშანი იმისი, რომ აქა  
პატრონობს რომელიმე მწერი.

15) როდესაც ხეხილებზე ჩნდება აბლაბუ-  
ლებსავით პარკები, მაშინ ნიშნავს, რომ აქ გაჩე-  
ნილან მთელი მწერების ადგილ-საშენებელი.

16) თურომ ხეხილებზე ანუ სხვა ხეზე, რა-  
მელიც მზარულს სიმწვანეში არის, რომე-  
ლიმე შტო ცხადად და მოულოდნელად დაჰ-  
კარგავს ფოთლებსა, მაშინ მიზეზად ამისი  
უეჭველად მწერი არიან.

17) თუ ხეს ქვეშ მიწაზედ იპოვით დასო-  
რსალეებულს ნიეთებსა, ნუ შესცდებით და მა-  
შინვე დაარქვით ამას მწერით განავალი, რა-  
მელნიც ამ ხეზე პატრონობენ. რამდენიმე  
ხანი რომ ამ ხეს ქვეშ დასდგეთ, მაშინ გაი-  
გებთ კიდევ ჩამოცივენას ამ ბურთებისას,  
რადგანაც ამას მოსდევს ხმა, როგორც წვი-  
მის წყეთების დაცმის დროს ფოთლებზე.

18) როდესაც ხეზე გამოჩნდება მრავალი ნახერცები საფანტ მიხედვრებულსავეით და ამ ნახერცებთან, ხის ძირში თეთრი ანუ მო-შოა პარაშოკია, მაშინ ეს იმის ნიშანია, რომ ხის ქერქში და ხორცში შესულა მწერი, რომლისსაგანაც ეს ხე ვახშვება.

19) თუ ხის წვერი გაყვითლებული არის და თავიდან სისხმელე მოსდევს, მაშინ იტო-დეთ; რომ ამ ხეს ძალიან აწუხებს მწერი.

20) თუ ეკლებიან ნორხს ხეს ეკლები უწი-თლდებოდეს, მაშინ გასინჯეთ ხის ძირი და ძირკვები. აქა ნახათ წანახდესა და ამის მო-მკმედს მწერსაცა.

21) როდესაც ტყეში გაჩნდეს ბევრი კო-ღალები, გულმოდგინედ მკაუთენდები ხის ქერქზედ, მაშინ ესა ნიშნავს, რომ ტყეში გა-ჩენილა მრავალი მწერი, რომელნიც სკა-მენ ქერქსა და სხვა ხის ნაწილებსა.

საერთოდ, როდესაც ტყეში ჩნდება მფრინ-ველი ზომაზედ მომატებით, ესა ნიშნავს, რომ ტყეში ძალიან ბევრი მწერი გაჩენილა და ბე-გრსაც აენებს.

ეს მცირე ნიშნები გვგანებ საკმაო იყოს იმისათვის, რომ სოფლის მოსახლემ შეიტყოს სარგებლობა ვარემორატყვული ბუნებისა გა-სინჯვისა და რომ შენიშნოს ყოველივე ნი-შნები, რომელნიც არ არიან ჩვეულებრივი. რაკ შეიგნებს მიზეზს რომელიმე საენებელი ნიშნებისას, მაშინ საშუალების დროთი მისწ-რება აღარ არის ისეთი ძნელი; მაშინ ძალი-ან მალე შეუძლიან შეამსებუქოს, ანუ ამო-ფხვრას სრულებით ბოროტება.

II. როგორ უნდა მოაგროვონ მწერი და როგორ უნდა მოამზა-დონ ფოშტით გასაგზავნელად.

მწერს შეუძლიან გვევნოს ანუ მაშინ, რო-დესაც სრული მწერი არის, როგორც კრი-ჭინა, ანუ მაშინ, როდესაც ჯერ მატლია, როგორც ყველა გვარი პებელა და ბუხის მა-გვარი მწერი, ანუ ბოლოს ორსავე მდგომა-რებაში, როგორც კალია და სხვანი. ამისა-თვის საჭირო არის მწერის მანებლობის შეტყობისათვის მწერი ყოველს მდგომარება-ში მყოფი; მაგრამ, რადგანაც ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის, ამიტომ საპყოფია ჰქონდეს მწერი იმ მდგომარეობისა, როდეს-საც უფრო მომატებითა სჩანს იმისი ენება, მხოლოდ იყოს გამოგზავნილი ისე, რომ გზა-

ზე არ შესცლოდეს სახე და არ წამხდარ-იყოს. ამასთან საჭიროდ ერაცნ ესთქვა, რომ არ არის მანებელი მწერის ერთისა და ორის ნიმუშის გამოგზავნა; უნდა გამოგზავნონ ყოველთვის რამდენიმე ნიმუშად; ამიტომ რომ ადვილად შეიძლება მოხდეს, რომ მანებელი ტრიჭინისა, ანუ მატლის მაგივრად გამოგზავნონ სრულებით უნებელი, რომე-ლიც წანახდელში შემთხვევით დასწრებია.

მდრე მწერის მოგროვებამდე, ჯერ უნდა მოამზადონ რომელიმე საჭირო ნივთები, რო-გორც: პატარა შუშა, ხის პატარა ყუთი, და-ნა, ხერხი, სატები, ქოლგა, ანუ ნიშაბი, შეხე-დვით იმისა, რა გსურთ მოაგროვოთ. თუ გსურთ, რომ მოაგროვოთ ჭუჭუმკალიები, რა-მელიც დაუფარადა სცხოვრებენ ხეებზედ და სჭამენ ყვავილსა და ნაყოფსა, მაშინ საკმაოა წვილოთ თან პატარა შუშა და ქოლგა. შუ-შას პირი კი განიერი უნდა ჰქონდეს. ამ გვარ-ში შუშაში უნდა ჩასლოთ წვრილად დაჭრილი და დაკუმშული ქაღალდები, ამიტომ რომ შიგ ჩაყრილია ჭუჭუმკალებმა დაიწყონ ერთ-მანერთზედ სვლა და თავიანთი მწვეტი ფრ-ჩხილებით ერთმანერთს არა მოსტეხონ რა-მდით ხესთან, სადაც პატრონობენ ჭუჭუმ-კალები, და გახსნიეთ ქოლგა; შემდეგ მოაბრუ-ნეთ და დასდეთ იმ ადგილის ქვეშ, სადაც მომატებულად არიან. შემდეგ შეაჩვიეთ მცე-ნარე და თუ ჯანგარი მცენარე არის, მაშინ დაჭკარით ჯოხი, რომლითაც ჭუჭუმკალები უეცარის შენჯღრავის გამო ჩამოაცივიან ქო-ლგაში, საიდანაც მერე ადვილათ აკრეფეთ იმათა. თუ ყვავილი, ანუ ნაყოფი ძალიან წა-მხდარნი არიან, მაშინ მოსჭერთ ნიმუშად ერთისაც და მეორისაც და წამოიღეთ თანა-ხანდისხან ხეხილში მწერი ჩნდება რტოების ქერქში; ამ გვარი რტო ყოველთვის ხმება და ხდება ბუდედ მწერისა, რომლიდანაც გადა-დიან სხვა რტოებზედა; ამიტომ რას წამს ნა-ხონ ესრეთი რტოები, მაშინვე უნდა მოსჭ-რან, ანუ მოხეხონ.

თუ გსურთ ჭუჭუმკალიების შეკრება, რა-მელნიც გაჩენილან ტყეში ხეების ქერქში, მაშინ მშრალი შუშის გარდა, კიდევ ერთი ტარა შუშით სპირტი უნდა გქონდეთ. რო-დესაც ნახოთ სწეული ხე, მაშინ მოაცალეთ სატებით, ანუ დანით ქერქი წამხდარი რტო-დან; (ამ გვარი წამხდარი ადგილი ადგილი სა-ცნობია: სატებით, ანუ ჯოხით რახუნის დროს

ამ ადგილიდან იმისი ყოველთვის ყაყუ. ხმა). როდესაც გააძროთ ქერქი სიფხილით, მაშინ მოაგროვეთ ამ მხდრამი ჭუჭუმკალიები მშრალს შუშაში; თეთრი მატლები კი, ანუ ტიები ჩა-ყარეთ სპირტში; თითონ ქერქიც თან წამო-იღვეთ.

ჭუჭუმკალი, თუნდა ბუსუსიანი იყოს, მა-ინც ტიტველა ხელით კარგა აიღება, ამიტომ რომ არაფერ ენებას მისცემენ. მხოლოდ ცო-ფის ტიების (Шпанскихъ мухъ) შეგროვების დროს უნდა მიიღონ რომელიმე სიფრთხი-ლე, ამიტომ რომ ისინი ღვრიან ჩალიან მწვეან წყალსა, რომელიც სწყვეს კანსა. რაც კი შეხება პებლის მატლსა, რომელსაც ცხო-ვრებაში ეხახიან ბაღახის ჰიასა, ანუ მატლსა, ესენი შეიძლება აკრიფონ უშიშრად ტიტვე-ლა ხელითა. მაგრამ ის პებლის მატლები კი, რომელთაც ტანზე ხშირი ბუსუსი აქვს, უნ-და მოაგროვონ დიდის სიფრთხილით. ბეგრს მატლს ეს ბუსუსები ისეთი მჭრელი და ხმე-ლი აქვს, რომ ხელში მაშინვე ეჩუქობას და იმტრევა წვრილად. რომ შედიან ხორცში ეს ბუსუსები, ასტეხენ ხოლმე საშინელ ქა-ვილს და ხან ტყუის ანთებას; ესენი რომ დადევნენ თვალის ქეთუთოებზე ანუ ნესტი-ანს და სუსტს საყრისაგან კანზედ, ანუ სუნთ-ქვის დროს ჩაკეიფდეს ყანყარატი, მაშინ ძა-ლიან საშიშარს ანთებასა ჰგვრიან. ამიტომ, როდესაც გინდოდეთ ამ გვარი ბუსუსიანი მა-ტლის დაჭერა, სიფრთხილისათვის ჩაიცეთ ხელჯავები.

როდესაც პებლის მატლის დასაჭერად მი-დიოდეთ, წაიღეთ თან კარდონის, ანუ ფი-ტის ყუთი და, თუ გსურთ შეჭრიდეთ ის მა-ტლებიცა, რომელნიც არიან მიწაში ხის ძირ-კვებთან, მაშინ წაიღეთ თან ბარცა. ბუსუს-იანი მატლების შესანახად წაიღეთ თან პირ-განიერი შუშა, რომელშიაც იყოს ნახევრად სპირტი. შუთი რამოდენიც უნდა იყოს არა-უშავს რა. მატლები ძერებიან ხოლმე ყუთი-დან, როდესაც ხდიან, რომ სხვა ახალი ჩასონ; ამიტომ კარგი იქმნება, რომ წვეიდან ამოს-ჭრან ერთი აბაზის ტოლა და დაუტონ პრო-ბკა. ამ ნახერციდან სმენ ყუთში მატლსა; და რომ გაისხნას როგორმე, ამისათვის ყუთ-სა ჰკერენ თოკით ჯვარედინად. როდესაც ამ გვარად მოამზადოთ ყუთი, შიგ ჩადვეთ რა-მდენიმე დრო, ანუ ფოთოლი იმ ხესა, რომ მელწედაცა სცხოვრებენ შეკრებილი მატლ-



ნი. ეს რტოები და ფოთლები მატლასათვის საზრდოთა ც გამოდგება, მაგრამ ყველაზე კარგი სამსახური ამათი სდვას იმაში, რომ მატლები, როგორც ცარიელს ყუთში მოხდებოდა ხოლმე, არ ისერებინან.

მდაბალს მცენარეზე მსხდომს მატლას ისე ხელითა ც კარგა აჰკრეფენ; მაგრამ რომელიც მალლა სხედან, იმათ შესაკრებათ უნდა იხმარონ ზემო აღწერილი საშუალება: შეკანება მცენარისა გაშლილს ქოლგაზე, ანუ ზეწარზედ. ამასთან შეენიშნავთ, რომ მცენარის უტყარის შერყევისათვის უნდა იხმარონ კარგი მსხვილი და მძიმე ჯოჯი.

როდესაც შეჰკრიფო პეპლის მატლები, მაშინ იმ ხილვან, რომელზედაც ესენი ისხდნენ, უნდა მოსჭრათ რამდენიმე რტო და ფოთლები, რომელზედაც სჩანს იმათი წანახელი.

ის მატლები, რომელნიცა სჰამენ ნახნავეში პურსა და მინდორში ბალახსა, სცხოვრებენ ძალიან დაფარულად. ისინი ბევრი წილი ღამე იკვებებიან და დღისათი სძინავეთ დამალულებს ბელტებს ქვეშა, ქვეს ქვეშ, ანუ ნაყარ ფოთლებს ქვეშა; ესენი აქ უნდა მოიხარონ ბარითა. როდესაც მატლები შეჰკრიბოთ, მეტე აიღეთ იმ მცენარის ძირი, ან ღერო, რომელზედაც წანახელი ეტყობა და წამოიღეთ თანა.

ზოგი მატლი ზის ხეში, ხან შიგ ხის გულში; ამ გვარ მატლებს თუ ხე არ გამოსჰკრით, ვერ იპოვით. მოჭრა უნდა წამხდარი ადგილის პატარა ქვევითა.

ზ ა რ მ ა ც ი . . . .

ძაცო, რათა ხარ მაგრე ზარმაცი!  
არაფი მინახავს შენსათი კაცი.  
წანი კარგი გაცეს, მასთან გონება,  
მითხარი ზრომა, რათ გვარებამ?  
მძლარათ იქნეი, ვე შენი მკლავი;  
ან ერთი ასო, გაუღდეს ნეტავი.  
ზან არ გახსოვს, რომ შენ ცოლშვილით  
იხოცებდი ერთ დროს შიშვილით?  
შენ ის შვიი დღე არ გავიწყდება,  
რომელ დღესაცა სული გხდებოდა?...  
ზარმაცობითა შენ ვერ იცხოვრებ,  
სიცოცხლე შენი იქნება მწარე;  
მაჲ ყოველთვისა მხეცსა გადარებ,  
თუ რომა თვლი შენ არ დაღვირე.  
შეჰხედ სხვასა, როგორ მუშაობს,

თითქმის საწყალი წელშია სწდებამ,  
მაგრამ ყოველთვის საშინლათ შრომობს,  
და მას ცხოვრება არ უტრდება.  
შენკი მხოლოდა შიშვილით ჰქედები,  
და სხვას უყურებ მუდამ ხელშია,  
იქით—აქათა მარტოკა სძებნი,  
მიკვირს რით ჩადის ანკი ყელშია.  
ცოლშვილი შენი კვდება შიშვილით,  
ტანისამოსი არ აკრავთ ტანზედ,  
გეხოცებიან ყველა სიცილით,  
როგორ დაღვიბარ ანკი მიწაზედ!  
დღენი არიან ტკილი და მწარე.  
უნდა შრომობდეს მუდამ ვაჰკაცი.  
მამა-პაპანიც იყენენ შრომადნი,  
მშვიდად და ტკილიად დროს ატარებდნენ;  
წარიდნენ დრონი ძველნი და ძველნი,  
შენებრეც დროსა არა ჰკარგავდნენ.  
არ ვინ აკლებდა ხომ გარჯილობას  
და მუშაობდნენ ყველა ცოლშვილით,  
და არც აკლებდნენ მეცადინობას.  
არვის უფლია შენებრ შიშვილით.  
შენკი შოულობ ერთ ლუკმა პურსა  
და შენ ცოლშვილსა არ უღებე უფრსა.  
ესე ამ სახით დახვალ ყოველ დღეს;  
ცოლშვილი შენი არ გეჭრებოდა.  
დახე, საწყობის იღბალსა და ბედს,  
რომ მკვდარი იყო შეგვეფრება.  
თუ არა გქმნდა ცოლშვილის თავი,  
იმათ ცოლდამი რათა სდგებოდი?...  
შრომა გასწი, მოდი გონებედ,  
და მუშაობის დღეც გზაზე.  
იწრომე კარგათ, ღმერთიც გიშვილის,  
ცოლდა ნუ გინდა შენი ცოლშვილის.  
მერ მისივინც ცოლშვილის ცოლით,  
ატხოვრე დღიურ შენისა შრომით.  
მუდამ ლუკმა პურს არაფი მოგცემს,  
ჰხედე. შრომით ტანიც არ მოგდგებს.  
მართლმაც მოკვები შენ საჩქარაზედ,  
მს ჩემი სიტყვა, ძმაო, გახსოვდეს,  
რომ ვამბობ ამას მხოლოდ ზარმაცზედ.  
მამიგონებედ სიშვილობის დღეს,  
რომ თქვენ სიშვილით იხოცებოდეთ;  
და მაშინ ხალხი იტყვის ყველაზედ:  
„მშრომელნი კაცნი დაილოცენით“  
„რომ მისებრეცა, არ მოხვდეს თქვენზედ“.

ბიორგი ინჰკოვი.

ს ა მ ო ჯ ა ს ო ს ო მ ბ ა ე ი

მ ო მ ზ ა დ ე ბ ა მ ა ს ა ლ ი ს ა შ ა ქ რ ი თ ა .

შურკელი, რომელიც საჭირო არის მურაბის მოსახარებათ.—ყველას თითბრის მრგვალი ტაფა ჰსჯობს,—ხარშვის დროს ტაფაში უნდა იყოს მასალა სამი წილი; მაგრამ მასუქან როდესაც ხარშვა თავებოდეს, უნდა ტაფაში წვენი დარჩეს ორი თითის სიმაღლედ.—ხარშვაში უნდა უფრთხილდეს, რომ ტაფის ვარგეშემო გვერდები არ გაცხელდეს, ამისთვის რომ მურაბა დაშაქრდება და შემდგომად გამოიცილება როგორც გემოთი, ისე ფერითა.—

ნახშირი უნდა იყოს მაყალში გაღვივებული, ხარშვაში უნდა ტაფას უფრო მოუწყვეტლათ ხის კოვზით, სხვა კოვზი ეცრცხლისა, თითბრისა რჩინისა არ ივარგებს. ამისთვის რომ რევაში, არ შეიძლება არ გაფხაქნოს თითბერი, რომელიც საწყენო არის.—თითბერში მონახრშვა არ არის საშიშო, მხოლოდ უნდა ყოველთვის წმინდათ იყოს შენახული. და მურაბა არ დადგოთ იმაში გასაცეხლად.—სიმჭევე ნაყოფისა, როცა ცხელა არ მოქმედობს თითბერზედ, მაგრამ ცივი კი მოქმედობს, აძლევეს გემოს და ერევა თითბერში.—მოკალული ტაფები მურაბისთვის არ ვარგა.—ამისთვის რომ როგორც ფერს, ისე გემოს უხდენს კალა მურაბას.—

როდესაც ბანკაში ცხელს მურაბას ჩაასხამთ და გაცივდება, ქალაღი უნდა შემოსჭრა მრგვალოთ, რომ მურაბას არ დაეკაროს, ოტკაში უნდა დაასველოთ, მერე ორკეცი ქალაღი შემოახვიოთ და ზონრით მოუკიროთ, მაგრამ ხარის ბუშტით ან ძროხისა რომ გადაეფაროს, ისე ჰსჯობია.—მურაბა უნდა იდგეს მხმელს ალაგს, სადაც თავების შიში არ იყოს.— თუ რომ ქალაღს ობი მოეკიდა, მაშინვე გამოცვალოთ.—და ეინციობა მურაბას ობი მოეკიდა, მაშინვე უნდა მეორეთ ერთი წამოაღლოთ, ამითი არ წახდება.—

დაწმენდა შაქრისა მურაბისათვის.—ათი გირეანა შაქარი, წერილად დაამტრევე, დაასხი ორი ან სამი კვერცხის ცილა, ტაფაში ზეიდან დაასხი ნელნელა ბოთლი წყალი და ააქაფე ხის კოვზით, ან ცოცხით, როდესაც ცილა აქაფდება, მაშინ შაქარი დააყარე და ნელ ცეცხლზედ შემოღვი. შრიე მუდამ და რაც ქაფი მოიგდოს მოხადე, როდესაც დაიწყოს დუღილი და რომ შაქარი ძალიან დუღილში



არ ამოვიდეს, ნელ-ნელ ცივი წყალი ასხით. ხუთჯერ ექსჯერ რომ წამოდუღდეს, ერთი კევრცხის ცილა კიდევ უყავით, და ქაფი ხადეთ მანამ არ გაწელილებდა და არ გათეთრდებოდა. მაშინ ტუფა ჩამოიღეთ, წმინდა ტილოში გაწურეთ და მაშინ ეს შაქარი იქნება მურაბისთვის კარგი. შოველთვის ყოველ ხილს ერთ გირვანქას, ერთი გირვანქა შაქარი უნდა.—

მოხარშვა შაქრისა რამდენად უნდა იყოს.— როდესაც შაქარი დაიწმინდოს, უნდა ის შესქელდეს ხარშვით,—ისე, როგორც რისიც საჭირო იქნება.— შესასქელებლად შაქრისა, არის ექვსი ხარისხი: პირველი ხარისხი შესქელებისა არის ისა, როდესაც შაქარი კოვზით რომ ამოიღო და დაასხა, ძაფივით იწვედეს და არა წვეთებდ. ასე რომ წყალში დასველებული თითი რომ ამოიღო და ცერზე შემოიკრა, თითები მერე გაშალო, ძაფივით უნდა წყდებოდეს.—ამას ეძახიან წელილ ძაფებად, თუ რომ გძლად გაიწვეა, და თუ გაწყდება, ამას მსხვილ ძაფად ეძახიან. მეორე ხარისხი შესქელებისა.—ამ გვირისავე გამოცდით, თუ რომ ძაფად გძლად გაიწვეა და არ გაწყდება, ამას წელილ მარგალიტებად ეძახიან და როდესაც ორივე თითი სულ გაიშლება და არ გაწყდება, ამას მსხვილ მარგალიტებად ეძახიან.— მესამე ხარისხი შაქრის შესქელებისა. ის არის რომ, როდესაც პატარა ქაფქერით ამოიღო შაქარი, ჩაშებროთ ნახერცებში, თუ გავიდა, ბურცებად ამას გაბერილს ბურცებს ეძახიან.—

მეოთხე ხარისხი შაქრის შესქელებისა. მოხარშე კიდევ ცოტად შაქარი, ამოიღე ქაფქერით შუადან შაქრის წვენი, მაღლა აიღე საჩქაროთ და ისევ ჩაასხი, თუ რომ მსუბუქ და განიერ ფთასავით ჩამოვიდა ტუფაში, ამას წელილ ფთას ეძახიან, თუ რომ ძაფივით ჩამოვიდა კოვზიდგან ამას მსხვილ ფთათ ეძახიან.—

მესუთე ხარისხი შესქელებისა.—თითი დასველე ცივ წყალში, ჩაყე შაქრის წვენში, და მერე საჩქაროთ ისევ ცივ წყალში ჩაყე თითი. ამოიღე და თითი წაუტე თუ შიშინი დაიწყო ცოტა, ამას ყიფვი ანუ საფხენელს შაქარს ეძახიან.

მეექვსე ხარისხი შესქელებისა. თუ რომ ყიფვი შაქარი ცოტა წამოდუღეთ, და დაიდეთ

კბილზედ, თუ არ მიეკრა და იმტერევა და იფხენება ამას ვარშელს ეძახიან, ანუ დიდ საფხენელს შაქარს. მაგრამ ძალიან სიფთხილედ უნდა, ცოტა მეტი რომ წამოდუღდეს, შაქარი დაიწვის.—

ზაფხობილება მურაბისა რომ არ დაშაქრდეს.—ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მურაბა რამდენსამე ხანს უკან მოიგდებს შაქარსა ზევით ქაფსავით.—რომ არ დაშაქრდეს მურაბის ხარშვაში, ნახევარ მისხალი თეთრი წმინდა მარილი უყავით. ეს ცოტა მარილი არ გამოუცვლის გემოსა.—

მურაბა მწიფე ყურძნისა.—მოიღეთ მსხვილი ყურძენი, ამოიღეთ მარცვლებიდან თესლი, ჩაყარეთ ტუფაში, უყავით იმდენივე წონა შაქარი ფხენილი, დაასხით იმავე გვარი ყურძნის წვენი, ხარშეთ ნელ ცეცხლზედ, მერე ბანკაში ჩაასხით სიროპათ.—

მურაბა დღუმწიფებელის ყურძნისა.—ამისთვის უნდა ამოარჩიოთ მწიფე ყურძენი, რომლის მარცვალი შესრულებული იყოს და ჯერ არ დამწიფებულოყოს.—პირველად ხარშეთ წყალში, ცოტა მარილით, ან გვარჯილით, რომ ყურძენმა ფერი არ დაჰკარგოს. მოხარშული ყურძენი ჩამოიღეთ ცეცხლიდან, დაფარეთ საღვეთი, დაცალეთ, რომ გაცივდეს; მერე ამოიღეთ წყლიდან, ცხრილზედ დაჰყარეთ, რომ წყალი დაეღინოს. მერე ჩაყარეთ ტუფაში ერთად შაქართან (რომელიც ზომა უნდა ყურძნისა იმოდენი). და ყურძნის წვენის სიმძიმე, ამდენი რომ შაქარი იმაში დადგეს. შურძენი ხარშეთ ნელ ცეცხლზედ, არ უნდა წვენი ადუღდეს, სიროპი რომ შესქელდეს, ჩაყარეთ ყურძენი ბანკაში, სიროპი კიდევ მოხარშეთ ცოტა და მერე დაასხით ყურძენსა.—

მარწყვისა და ქოლის წყალი. რამდენიმე გირვანქა მარწყვი, ანუ ქოლი, ახალი მოკრეფილი, გასრისეთ ჯამში, სრესაში წყალი ასხით ცივი ცოტ-ცოტა, ასე რომ თითო გირვანქა მარწყვის თითო ბოთლი წყალი უნდა დაასხათ სრესაში.—როცა გასრესთ, დააცალეთ ორი, ან სამი საათი ასე, მერე წმინდა ტილოში გაწურეთ, უყავით შაქარი ბოთლზედ მეოთხედ გირვანქისა, როცა შაქარი დადნება, გადაასხით ბოთლებში და ყინულზედ დადევით.

ალუბლის წყალსა და რაქვით. ორ გირვანქა ალუბალს ყურწყებ დაწვეით, დაქვლიტეთ ალუბალი, ერთი ბოთლი წყალი დაასხით და ერთი ლიმონის წვენი, გადაასხით ჯამში, აურით და ერთ-დღე დალამ დადგეთ; რომ დაწმდეს, მერე დანაყეთ კურკები ფილში, ჩაყარეთ წვენში, გამოწურეთ კარგა საწურავში, თუ პრესი იქნება კარგია ან ზეთის სახველი კეცესა.—დადგეთ, როცა დაწმდეს გაწურეთ.—

პოგარე.—რვა ბოთლი ცივ წყალში ორი სტაქანი ხაში უყავით, ექვსი გირვანქა ქიშხიში, ექვსი ლიმონი დაჭრილი პტყლათ, თესლი ამოღებული იყოს, ესენი ბოქკაში ჩაყარე, თორამეტს დღეს ცივ ალაგას იღეს, შემდგომ ბოთლებში ჩაასხით.—შაქრით მიირთმევდეთ.—

მცხარე ბერღობზონი.—მოიღეთ ერთი ვებრა წყალი, გირვანქა ნახევარი შაქარი უბრალო, ნახევარი სტაქანი თეთრი ძმარი, ხუთი მისხალი დუღვლის ყევილი და ერთი ლოტი მისხაის ყევილი, ჩაყარეთ კასრში და ოთხი დღე დააცალეთ ასე, დღეში რამდენჯერმე მოურით, მერე ჩაასხით ბოთლებში, შემოაკარით მართული, დაფისეთ პრობკები და ცივ ალაგას დაწვენილი დაწყეთ ოთხი დღე, თუ თბილს ალაგას იქნება ორი დღე კმარა.—

ორანჟადრე აველინზედ და ოთხ ლიმონზედ ორი გირვანქა შაქარი, ნაჭრებად გახეხეთ ქერქები აველსინებისა და ლიმონებისა, მერე აველსინები და ლიმონები დასჭირით, თესლი ამოიღეთ, და გამოწურეთ ჯამში წვენი, ყველა ესენი ერთათ მოხარშეთ სქლათ, გააცივეთ, ბოთლებში გადაასხით და ცივად მარანში დადგეთ.

ორჟადის ცომი.—მირვანქა ტკბილი ნუში და მერევილი გირვანქისა მწვარე ნუში, გაფუტკენით ქერქიდგან, დანაყეთ ფილში, უმატეთ ცოტა ცოტა ორი გირვანქა შაქარი და ნახევარ რუმკა აველინის ყევილის წყალი, და ეს ცომათ შეზილეთ, მერე კოვზით გაჭქნეთ ძუის საცერში, და მოკალულ ტუფაში გადმოიღეთ, რომელიც უნდა ცხელ ნაცარზედ შემოდგათ ხუთი მინუტი, და უროთ ხის კოვზით. ზადმოიღეთ ტუფა და ამ ცომს დაწვეთეთ რამდენიმე წვეთი ლიმონის ზეთი, გასრისეთ, აურით, ჩადევით ბანკაში და შეინახეთ ცივად.

მ რ ჟ ა დ ი.—მითი გირვანქა ტკბილი, ერთი მერვედი მწარე ნუში დანაყთ ფილი, ნელ-ნელა უმატეთ ოთხი ბოთლი წყალი, ერთი გირვანქა შაქარი და რამდენიმე კაპლი აბელციონის წყალი, მერე გაწურეთ საცერში.—

მ რ ჟ ა დ ი ს ი ო რ ა პ ი. მ რ ი გირვანქა ტკბილი და მეთხუთხუთმედი გირვანქისა მწარე ნუში დანაყთ და ორი ბოთლი ცივი წყლი ასხით, ასე რომ თხელი ცომი გაკეთდეს. მაშინ კიდევ დაუმატეთ ორი ბოთლი წყალი, აურით და გაწურეთ კარგა. ამ წვეცს უყავით კარგი თეთრი შაქარი ორი გირვანქა და ერთხელ წამოადუღეთ, მერე ფლანელში გაწურეთ, შააცივით და ერთი რუმკა აბელციონის წყალი დაასხით; ამ სირაპს ცივს ალაგას უნდა შეინახვა.

მ შ რ ა ლ ი ო რ ჟ ა დ ი. მ რ ი გირვანქა ტკბილი ნუში გაუტკეწენით, დანაყთ, ცოტა წყალი ასხით, აურით ერთი გირვანქა შაქარი წმინდათ დანაყილი და გააშრეთ ქვაბში ნელ ცეცხლზე; როცა შემზრეს წყალი და გაშრეს კარგა, კოვზით საცერში გაქენით, რომ სულ გაიფიქრეს, კიდევ გააშრეთ და დაფხვენით, გასცერით ბოთლებში ჩაყარეთ და დაუცეთ პირსა, ხმელს ალაგს შეინახეთ. როცა გინდათ დალიოთ, ერთი მურაბის კოვზი ჩაყარეთ სტაქანში და დაასხით წყალი.—მ ს პარაშოკი, რამდენსამე წელიწადს შეინახება.—

ს ო დ ი ს პ ა რ ა შ ო კ ი.—მოიღეთ სოდა აფთეკიდგან 40 გ რ ა ნ ი და ღვინის მარილი, ან ლიმონის მარილი 30 გ რ ა ნ ი. მ რ ი თლურჯ ქალაღმე გააკეთეთ, მერე თეთრში, როცა გნებავთ სხვა და სხვა წყლიან სტაქანში ჩაყარეთ, აურით, მერე ერთმანეთში გადაასხით და მიირთვიეთ.

მ ი შ მ ი შ ი ს წყ ა ლ ი. სამი ვედრა (ან ცხრა თუნგი) წყალი წამოადუღეთ, გააცივეთ ასე რომ სითბო ჰქონდეს ახალ-მოწველილი რძისაგან, ოღნად.—ჩაყარეთ ათი გირვანქა ქიშმიში. მერე ექვს ლიმონს ქერქი შემოაცალეთ.—მ ო რ ი კანი შემოაცალეთ ლიმონის ხორცსა და ჩაყარეთ ისიც ბოკაში, ქერქი ჩაყარეთ, დაასხით ერთი სტოლის კოვზი ხაში და ერთი ღლე და დამე ფეხზე დადგით. მერე თორმეტი ღლე მარანში დადგით, შემდგომ ბოთლებში გადაასხით და თითო ბოთლში სამსამი ქიშმიში ჩაადგეთ, დაუცეთ და ცივად შეინახეთ.—მ რ კვირას უკან კარგი სასმელი იქნება შაქრით.—

ა პ ე ლ ც ი ნ ი ს წყ ა ლ ი. რე აბელციონი გაუტკეწენით, კურკები ამოართვით, ჩაყარეთ ქვაბში, ერთი ვედრა ადუღებული წყალი დაასხით და მხარზე შეთ, ქვაბი დაუფარებელი იყოს. მერე გააცივეთ, ბოკაში ჩაასხით, რომელშიაც ჩაყარეთ ქერქები აბელციონისა და ორი ლიმონის წვენი, ეცადენით რომ კურკები არ ჩატანოთ, დაასხით ოთხი ბოთლი თეთრი ღვინო, ერთი სტოლის კოვზი ხაში, ბოჩა დადევით თბილ ფეხზე, ერთ ღლე და დამე შემდგომად ბოჩის დასაცმელს თხა წაუსვით, ორ კვირას ცივს ალაგს დადევით, შემდგომ ბოთლებში გადაასხით, დაუცეთ, მართული შემოაკარით და დაფისეთ.—

პ ო ზ ი ს წყ ა ლ ი. რე მისხალი კოჭა, კლე-მარტარატარი, (ფთიეკაში იკითხეთ) ანუ ღვინის მარილი სამ მისხალ ნახევარი, ორმისხალ ნახევარი შაქარი და ერთი ლიმონი დაჭრილი წვრილად. ნახევარი ვედრა წყალი ჩაასხით ქვაბში და ცხენი ჩაყარეთ; ნახევარი საათი ხარშეთ, ნუ ადუღებთ კი. მერე გადმოიღეთ და როდესაც სულ გაცივდეს, ერთი სტოლის კოვზი ლუღის დედა, ანუ ხაში უყავით; ერთი ღლე და დამე რომ იღუღოს, გაწურეთ საღუთქში, გადაასხით ბოთლებში, რომელიც მაგრა დაუცეთ მართულით და ფისით. ჩააწყეთ ქვიშაში გრილ ალაგს. მ რ ი კვირას უკან უცხო სასმელი იქნება.—

მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ლ ე ბ ი ს კ რ ე ბ ა ტ ფ ი ლ ი ს შ ი.

მ კ ტ ო მ ბ რ ი ს 17-ს ტფილისში, გიზანის ზალაში იყენენ შეყრილნი ვიდრე ოთხსამდე აქაური ჩინოვნიკებისა არქერის თანადასწრებითა. ბევრი წილი კრებისა ეკუთვნოდა მხედრულსა საზოგადოებასა. აქ თუმცა არ ისმოდა არც მუხიკა; არც მღერა, როგორც საზოგადოთ სადღესასწაულო ყრილობაში იციან ხოლმე; მაგრამ კაცი ამ კრებაში ყოფნით დიდად ისიამოვნებდა. აქა ლაპარაკობდნენ მომხმარებლების კრების დაწესებულსა საამური ხმა არის ეს „მომხმარებლების კრება“!—მაგრანებ არ ჩამოუყარდეს „მომხმარებელთა კრების“ ხმას; ორივეში ერთგვარი კეთილის მომნიჭებელი საქმე სჩანს. აქედგან ჩვენ გვესმის, რომ ტფილისში მოსწყნით ყურება მოეპურე თემისა, რომელიც ეპაროხაში ნიადაგ მოტყუებით აძლევს ზარალს ყოველს კაცს და სურთ ჯერ შემამ-

სუბუქონ ეს ბოროტება და მერე სრულებით ამოფხრან.

მაჭრობა ახლანდელს წესზედ არის სამაძქალაქო ომი. ძალიან ცუდაა, რომ სდგას კაცი მომხმარებლის სახითა და ცდილობს, რომ თავის დამპალს ნივთში გამოართოს მეორე პირსა რაც უმეიძობება მომატებელი; მაგრამ ემართლება კიდევ: მეორის ქუჩაზედაც რომ მოხდეს ეს დღეობა, ისიც ეცდება ყოველს ღონით ამ გვარადვე მოატყუოს. ამ გვარად, ვიტყვით დარწმუნებული, რომ ახლანდელს საზოგადოებაში ერთს კაცს ვერ იპოვიან, რომ ეპაროხაში მოტყუებული და წაგებული არ დარჩენილიყოს. მ რ ი ს, სიტყვით, ყველას მეუცადინებია იმისა სდგას, რომ ვინმე მოატყუოს აღემიციმობით, ამაში გარდის იმით სიცოცხლე და დრო. მაგრამ ყველავც საუფხარი ეს არის, რომ მიდინარს იმდენით არ დააჩინდება ესა, როგორც ღირისა, რომელიც ამ შემთხვევაში ყველავც უფრო წაგებულია. ისიც ბოროტებაა, რომ ყოველი ნივთი ისე ძვირია და უშოგარი, რომ მომატებული ნაწილი ხალხისა მოკლებულია ყოველს იმასა, რაც კი არის საქირო ცხვირებისათვის და სიცოცხლისათვის.

მომხმარებლების კრებას ეს ორი საგანი აქვს აზრში, ე. ი. სამოქალაქო ომი და საქიროების დაუქმყოფილებლობა; იმას უნდა, რომ ამ ორ ბოროტებას უწიამოს ომივე. მომხმარებლების კრებას მჭირს, რომ საზოგადოებაში იყოს კაცობრიობა, აზრი მშვენიერად დასუფიქიანს. მომხმარებლის საზოგადოება იყოს ყოველ ვეჯის საქონელს და ზომიერ ფასათ ვაჭყიდის თავის წყერებზე, ისე რომ ყიდვაში მოტყუება აღარ იყოს.

შბლა გავისჯოთ კრების ღონე ამ აზრის ასარტყობად. პირველს თავის ყრილობაშივე, როგორც ზეთა ესტყვით, ჰყენდა ოთხსამადე მწვერნი და ვგანებ, რომ ოთხი და ხუთი ამოდენი თანამგმონობლები ეგრ მოედნენ პირველს დღესა. მსენი, რასაკვირველია, თავისის სარგებლით მიეთვლებიან კრებას მამნივე, რას წამს ნახვენ, რომ საქმე მოგვარებული და გათავებულია. მომხმარებლისაგან არის ნების დართვა მომხმარებლების კრების დაწესებულზე ტფილისში. შბლავე ამ კრებას ჰყავს ორი ათასამდე მწვერნი. შბაველმა მწვერმა უნდა შეიტანოს კრებაში ერთი თუმანი. მამასადამე კრებას ახლოვე აქვს თანხა 20,000 მანეთი, რომელიც სრულებით საქაო არის საქმის დაწყებისათვის. ამასთანავე, რადგანაც ამ კრებაში შესვლისთვის კარი ღია არის ყველა წოდებისათვის და წრეც უშეოფარგლული არა აქვს, ასე რომ რამდენიმე წყვილი უნდა იყოს—კრება დასტვის, ამიტომ კრება ძალიან გაფრეკილებდა და საქმე უფრო მარჯვედ წავა. შემდეგ სხვა და სხვა ქალაქის წილებში გაზხნის მაკაზიგება და ვაჭყილიან თვითონ თავიანთ მწვერთა ზედა კარგსა და იაფს საქონელსა ამით ექმნებათ საქონელი იაფი და პირველი ალაგებიდგენ და ვაჭყილიან ძალიან იაფად—იქნება სრულებით მოუფხრად.

მა! როგორ თუ მოუფხრად, იტყვის ზოგი ერთი ვაჭარი,—ნეტა დელიჩემის ყო შეშას რაღა; ატრე თუ ეიარე—ძალიან აივსება ჩემი



ქისა, აი! რომ არ მოვიგოთ, მამ როგორ ეცხვროთ?

ისე არ ესმის ეპარსა, რომ ერთი მოგებაც ის არის, რომ რაც გინდა, იმას მოუგებრად ვითმობენ. რასაც შენ ნიეთში იღებ მომატებულსა, ისივე შენ საქირო ნიეთში უნდა მისცე სხვას მომატებული და ზარალიც ის არის, რომ გატყუებენ და ცუდს ნიეთებს გაძლევენ.

მაგრამ ერთში კი ეპარის ძალიან ფილოსოფურად სჯის: რომ არ მოვიგოთ, როგორ ეცხვროთ. შოველს საქმეს თავისი ბოლო აქვს და ამ მოუგებლობის ბოლოც ის უნდა იყოს, რომ ახლანდელი რიგი ეპარობისა სრულდება დაცემით. ბოლოს ყველა ნიეთის მოქმედი და ნიეთის მომხმარებელი უნდა იყოს; მაშინ ცუდა კაცს ადგილი აღარ ექნება საზოგადოებაში. მაქარს თავისი ჩამომავლობა ძალიან უყვარს... და ზრუნავს იმათთვისა. თითონ რომ თავის დღეში არ გაუკეთებარა და არც იცის რამე გაკეთება, ზგონია, რომ თავის ჩამომავლობასაც არაფრის გაკეთება არ შეეძლება და იხოცებიან შიმშილითა. თუ ამ გვარ მჭმუნვარებაში არის ენში, იმას ჩვენის მხრივ ვეტყით ერთს ანდა-ზნას; „გაჭირება მაჩვენო და მე გაქცევას გაჩენებო“. როდესაც ახვენ, რომ უშრომლოდ ცხვარება არ შეიძლება, მაშინ ყველა იმრომებს.

მეტამბერს მომხმარებლების კრებამ ამოიჩინა თავის შრომის თავს მჯდომარე და სეკრეტარი; მომავალი კვირადღისათვის დანიშნეს მეორე სხდომა, რომელშიაც უნდა ამოიჩინონ ყოველის წოდებებიდან სამსაში კაცე კრების დაწესებების შესამუშავებლად. მხოლოდ კარგი ეს იქნება, რომ არ მიიღონ დაწესებები რომელიმე რუსეთში, ანუ სხვა ადგილს მყოფი კრებისა, როგორც სხდომის დროს ზოგი ერთი მწვერი ამბობდა და შეადგინონ სრულებით ახალი დაწესებები, რომელნიც იქნებიან დაწყარებულნი ადგილობრივ პირობებზედა. ბარდა ამისა ერთი თუმისა ერთად შეტანა ყველას არ შეუძლიან; შეუძლებელია სწორად ისინი აიიან, ვისაც უფრო საქიროება აქვს კრებაში მონაწილეობის მიღებისა და იმითი იაფის საქონლით სარგებლობისა. ამიტომ მისცენ ნება ეს ფული ზოგიერთმა შესარულოს ორ-ორ შაურობით და თითო აბაზობით, ეს საშუალება კრებისათვისაც სასარგებლო იქნება, ამიტომ რომ მაშინ თავის კრებაში დათვლის მწვერით ათასობითა და აქემიციმობაც დიდი ექნება. ამითი თანხა კრებისა გაიზდება და უფრო ვაგრცელოდება წრე მოქმედებისა.

ეს არის სამწუხარო, რომ ტფილისში მომხმარებელი არ არის ვაგრცელებული. შემდეგში იქნება მალე ვაგრცელებს ეს ნაწილი საზოგადოების საქიროებისა. მერე იქნება შესაძლოსი მომხმარებლების კრების შედგენა, რომელიც მისცემს ახლა დაწესებულ მომხმარებლების კრებას იმ სიმარგისა, რომელიც საქირო არის ახლანდელი ვაჭრობის წესის სრულებით მოშლისათვის.

# განცხადება.

„სასოფლო გაზეთის“ გამომცემი

1869 წელში.

მომავალს 1869 წელს „სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორცა ამ წელს გამოიცემოდა

## ხელმოსაწერი შასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში ერთი წლისა ოთხი მანეთი; გაუგზავნელათ სამი მანეთი;

სასოფლო სასამართლოებისათვის გაგზავნით სამი მანეთი. ნახევარი წლისა გაგზავნით ორი მანეთი; გაუგზავნელათ ერთი მანეთი და ათი შაური, ერთი ნამერი ორი შაური, „სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ ხუთშაფათობით.

## ხელი მოიწერება.

ტფილისში „ღროების“ და „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამბ. სტამბაში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ აღრესით; Въ Тифлисѣ. Въ Контору Редакціи „Сельск. Газеты“ при Типографіи Мелікова. и Ко. ამასთანავე იბეჭდება თვითონ გაზეთის პროგრამაცა

# პროგრამა

„სასოფლო გაზეთისა“

„სასოფლო გაზეთი“ იქნება შემდეგი ნაწილები

### I მ ფ ი ც ი ა ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ი :

მთავარობის განკარგულება, რომელიც განსაკუთრებით შეეხება სასოფლო სამმართველოთა.

ა) მანკარგულებანი, რომელნიცა სასოფლო სამმართველოთა უნდა აღასრულონ.

ბ) მანკარგულებანი, რომელნიცა უნდა აცნობონ სასოფლო სამმართველოთა, რომ იმათ ხელსამძღვენლო შეიქმნან.

### II. არა-ოფიციალური ნაწილი:

1. სამეურნეო ცნობანი. ამ ნაწილში დაიბეჭდება იმისთანა სტატიები, რომელნიც შეეხება სხვა და-სხვა სამეურნეო ნაწილის. მაგალითად: მიწის მუშაობას, ბოსტნის კეთებას, ღვინის მოყვანას, პირუტყვის მოშენებას და სხვ. სასოფლო ვაჭრობის, ალბ-მიცემობის და ოჯახობის მაჩვენებელი სტატიები.

2. სახალხო მედიცინა (მეურნალობა). აქ დაიბეჭდება ისეთი სტატიები, რომელშიაც იქნება დარიგება, თუ როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა, რომ სიმართლით იყოს, აგრეთვე იქნება ნაჩვენები ისეთი ექიმობა და სხვა ავთომედიცინაზე, რომ თვითონ ხალხსაც შეეძლოს ზოგიერთ ავთომედიცინის მოარჩენა.

3. ამბავი სასოფლო ხალხის ცხოვრებაზე: აქ დაიბეჭდება ამბავი, თუ როგორ მიდის სასოფლო ვაჭრობა ჩვენს ქვეყანაში, სახალხო შოკლებზე, პურის მალაზიებზე, ბანკებზე; აგრეთვე კარგსაზღვენიცებო, და მოხარობა სოფლის ხალხის ცხოვრებლადან.

4. სხვა და სხვა ცნობა. წვილმანნი ხალხის ვასაგებნი სწავლანი, რომელთაც ექნება მხოლოდ ის განზრახვა, რომ ხალხს ავთომედიცინაზე და ცუდი ჩეულება მოაშლენინოს.

5. სახაზინო და კერძობობითი განცხადება.

რედატორი და გამომცემელი გ. წერეთელი.